წელიწადი 1-ლი
ტელეფონი № 76.
ოთხშაბათი 7 ივნისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა. უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის,
კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 47 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 47

ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის საორგანიზაციო ბიურო

ს. ხიდისთავში (გურია) ამით აცხადებს, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება 1) იესე გიორგის ძე ბროკიშვილთან, 2) მირიან ბესოს ძე თედორაძესთან და 3) ტიტიკო შარაშიძესთან.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

3 ივნისიდან ნაჩვენები იქნება ახალი მეტად საგულისხმიერო სურათი

ცოდვების წიაღში

მხატვრული დრამა 6 ნაწ. მონაწ. უმთავრეს როლში **ესფერი სოკნოპიუსი** და მსახიობი ალბერტ კოლოსი

ანონსი: 5 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება

სამხედრო ქრონიკა

ქალი ხასიათით „**ტურტიზანკა**“ დრამა 6 ნაწ. პელეგამისა, იაჩმენოვი და ბორისოგლებოვსკი.

ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

5 ივნისიდან ნაჩვენები იქნება მეტად საგულისხმიერო პროგრამა

დამსხვრეული ბორკილები

დრამა 5 ნაწ.

მონაწ. **ბაუერი, რანდინისა და პოლონსკი** კომედია. **ბობი შოფერი.**

ანონსი: 8 მაისიდან 1417 წ. ნაჩვენები იქნება

სამხედრო ქრონიკა

ნინა

მხატვრული დრამა. 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და რასბანოვისა.

კომიკური. **ძუნწი პრენსი.**

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

— ქ. ქუთაისი —

ამ დღეებში ქ. ქუთაისში

გამოვა

ორკვირ. წმინდა სამხატვრო

სალიტერატურო

ჟურნალი

„სირინოზი“

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალ გაზრდა **მგოსან-ბელეტრისტები**

მასალები მიიღება შემდეგი მისამართით: ქუთაისი „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ჟურნალ „სირინოზისათვის“

რედაქტორები: **ლადო მაჭავარიანი.**
ალ. ხარატიშვილი

ქუთაისის საარჩევნო კომიტეტი

სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურვილი განაცხადეს იკისრონ რეგისტრატორობა ქალაქის მცხოვრებთა აღწერაში მობრძანდეთ ოთხშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში, სადაც დანიშნულია კომიტეტის სხდომა ქალაქის რაიონებათ დასაყოფად და სხვა საკითხების გამოსარკვევად.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.

მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 7—9 საათამდის. ბუკინის ქუჩა, ვიტემანსკის სახლი.

დღეს:

წერილები:

ია ეკალაძე—სადღეისოდ.
dis—დამფუძნებელი კრება.
თავ-თეთრი—დანაშაული და სასჯელი.
მ. ქუთათელი—ტაშტი გატყდა ხმა გავარდა.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. რუსეთი. უცხოეთი. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრება. ქართული ენის და ისტორიის მასწავლებელთა საყურადღებოთ. პეტროგრადის ქართველთა ახალშენი ალ. ალ. გარსევანიშვილის ლექცია დ. საჩხერეში. ბოდბის მონასტრის გარშემო. მოწერილი ამბები. თეატრი და ხელოვნება. ახალი ამბავი.

ქუთაისის საქალაქო საარჩევნო კომიტეტი

სთხოვს ქუთაისის მცხოვრებთა აღწერაში მონაწილეობის მიღების მსურველთ მიმართონ ჩასაწერათ და ყოველი ცნობის მსაღებნათ ქუთაისის ქალაქის გამგეობის შენობაში, კომიტეტის მდივანს ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის

სატახტო-ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ოთხშაბათს 7 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება დიდი გრანდიოზული წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო რეპერტუარისაგან. უკანასკნელი გასტროლები განთქმული ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი

დღეს იჭიდავებს 3 წყვილი მეტად საუკეთესო მოჭიდავებისა.

1. მეორეთ იჭიდავებს წითელი პირბადოსანი და ქაჯი აზელკროტი. 2. რომანოვა და რიურიკ. 3. პეტერსონი და დემეტრესკო. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

ანონსი ამ დღეებში გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი განთქმულ ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი

სადღეისოდ

ევროპასა და რუსეთში დარაზმულ მუშათა ორგანიზაციების მზა მზარეულ პროგრამების საქართველოში გადმოტანამ ჩვენში შექმნა ორი სოციალისტური პარტია.

1) სოციალ-დემოკრატია და

2) სოციალ-ფედერალისტთა პარტია.

ორივე პარტია სდგას კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და გაუთვალისწინებია—რა ევროპასა და, ერთით, რუსეთში არსებული კლასთა, ბრძოლა ასე ჰგონიათ საქართველოც ევროპა, ან რუსეთი იყოს და ამ კლასთა ბრძოლაზე ისევე რიხიანად ლაპარაკობენ, გეგონებათ ქართველი ხალხი მართლაც შეებოჯოს პროლეტარულ გულის თქმას, ან ჩვენში არსებული „კლასები“ იმდენად იყვნენ ჩამოყალიბებულნი, ერთმანეთზე გადამტერებულნი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დარაზმულნი, რომ ჩვენში შეუძლებელი იყოს კლასთა თანამშრომლობა, და მით მთელი საქართველოს აღდგენა, განთავისუფლება, სწორე და მშობლიურ განვითარების გზაზე დაყენება.

ეს ხუთმეტი ოცი წელიწადია, რაც დაჟინებით გვესმის პროლეტარიზაცია, სოციალიზაცია, კაპიტალიზაცია, თითქოს საქართველო ქარხნებ-ფაბრიკებით იყოს მოფენილი და ჩვენი დემოკრატია-გლეხობა ისევ აზროვნებდეს და ფიქრობდეს, როგორც მარქსისტობით გატაცებულნი ან სოციალისტობის მსურველი ჩვენებური ფედერალისტები.

ამ უაღრესს სოციალისტებს ავიწყდებათ, რომ თავისი მოძღვრებით ისე შორსა სდგანან ქართველ გლეხობაზე, როგორც ცა დედამიწაზე და რაც ევროპის ქვეყნებში კლასთა ბრძოლად იწოდება, ჩვენში მეტად სუსტი და თითქმის არ არსებული მოვლენაა....

შეიძლება შემდეგში... ოცი, ორმოცი, ასი წლის შემდეგ საქართველოში მართლაც დამყარდეს ისეთი ურთიერთობა კლასთა შორის, როგორიც არსებობს ახლა ევროპაში, მაგრამ დღეს კი საქართველომ სულ სხვა გზა უნდა ამოირჩიოს, ვინაიდგან საქართველო სულ სხვა გულისთქმისა, წარსულისა და ისტორიის მატარებელია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, საქართველო ახლა ერკვევა იმ მეხდაკემულობისაგან, რომელიც დაატყდა მას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

საქართველო ახლა დგება გაევროპიელების გზაზე—და ჩვენის ღრმა რწმენით—ჯერ არავითარი სურვილი არა აქვს გაპროლეტარებისა ან გასოციალისტებისა, როგორც გაიძახიან „ევროპის სოციალისტებისა და პროლეტარების თვალთა ხედვის ისრით აღჭურვილნი“ ჩვენი, საქართველოს დანგრეულ კერასთან ასე თვალდახუჭულად მოქადაგე „სოციალისტები“.

საქართველო აუცილებლად უნდა აღსდგეს უფლებრივ-პოლიტიკურად, იგი უნდა შეიქმნეს ღირსეული, სრულნებისყოფიანი წევრი საერთაშორისო მეჯლისისა, საქართველოს ხმაც უნდა ჰქუხდეს ევროპაში ისე, როგორც ჰქუხდა მისი ხმა აზიაში; საქართველო უნდა შეიქმნეს ბატონი და პატრონი თავის თავისა, საქართველოს დემოკრატია—გლეხობა და სხვა გაღატაკებულ-გაძვალ-ტყავებული წრეები—უნდა შეიკრან, შეკავშირდენ, ხელი ხელს მისცენ ერთმანეთს და საერთო ძალით შეაყენონ თავისი სამშობლო თავის მშობლიურ განვითარების გზაზე...

ეს არის ჩვენი იდეალი, იდეალი დამყარებული საქართველოს რეალურ გულისთქმაზე და, მაშასადამე, ადვილად განსახორციელებელიც, თუ არ დავბრმავდებით გერმანელ მეცნიერთაგან მზამზარეულად გამომუშავებულ მოძღვრება-დოგმებით და ან „მოდის“ გულისათვის არ ავყვებით სოციალიზმის ფერად-ფერად დაპირებებს...

დიაღ, დაპირებებს, რადგანაც ვერც ერთი „ჩვენებური სოციალისტი“ (და გვგონია სხვა ქვეყნის სოციალისტებიც) ვერ გვეტყვიან, როგორი იქნება ის შორეული წესი ცხოვრებისა, რომელიც უქადის პიროვნების შთანთქმას საზოგადო ნებისყოფაში, ხოლო ერს—გაოქვევას წიაღში კაცობრიობისა, რომელიც არის მხოლოდ ჩვენი ლამაზი წარმოდგენა, იდეა და არა რეალობა.

მაგრამ თავი დავანებოთ კამათს, სოციოლოგიურ პაექრობას, ვინაიდგან თითოეულ მეცნიერს, თითოეულ მკვლევარს, თითოეულ სოციოლოგს, თითოეულ ჯგუფსა თუ პარტიას თავისი საკუთარი ფილოსოფია აქვს და ვიდრე დავუმტკიცებდეთ ჩვენებურ სოციალისტებს მათ გატაცებას, ოცი ვაგონი წიგნი უნდა დავაგროვოთ...

ესეც რომ არ იყოს, დღეს, ამ ხალხთა აღრეულობისა და უკვე დანგრეულ წესწყობილების სამართლიანობის ნიადაგზე აშენების დღეს—ჩვენ ფილოსოფიისათვის არა გვცალია, ჩვენ გვინდა მოვაშოროთ მუწუკები საქართველოს დაავადებულ სხეულს, ჩვენ გვინდა ავამაღლოთ სული ქართველი ერისა თავის ბუნებრივ სისპეტაკემდე და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ყველასაგან სახელითა ამ დიადი იდეალისა, ძირს, მიწაზე, ჩამოვიდეს, ჩაუკვირდეს ჩვენი ხალხის დღევანდელ ყოფნას და ასწავლოს და უმოძღვროს ხალხს ის, რაც შეეფერება მის რეალურ მოთხოვნილებას.

დიდია პლატონი, მაგრამ უფრო დიდი და საყვარელია ჭეშმარიტება! საქართველოს აღდგენისათვის, მისი უფლება-მოსილებისათვის, მისი სიცოცხლისათვის ერთად ერთი ჭეშმარიტება ის არის, რომ შეერთდეს ყველა წრისა, თუ მდგომარეობის ქართველი, დასთმოს ყოველივე პირადული, პარტიული გატაცება, დაიხაროს, ყური წაუგდოს საქართველოს მკვნესარე გულს და თავისი პირადი კეთილდღეობა შესწიროს ამ ძვირფას ავადმყოფის განკურნებას, ურომლისოდაც თითოეული ჩვენთაგანი კრულ და დამცირებული იქნება.

აი ამ აზრისა და რწმენისა რომ გახლავართ, ჩვენთვის საქართველოში არ არსებობს არც ბურჟუა, არც თავადი, არც აზნაური, არც მღვდელი, არც ბერი, არც გლეხი, არც მუშა — არც რომელიმე პარტია, ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ერთი პარტია საქართველო და ერთი მთლიანი, ჯანსაღი და გათვითცნობიერებული სახე, სახე ქართველი კაცისა, რომელსაც შეჰქმნის მხოლოდ თავისუფალი საქართველო...

რაც უნდა გვკიჟინონ ჩვენმა მოწინაამდეგეებმა, რომ ჩვენ ვითომდა ბურჟუები ვართ, ვითომდა ვიცავდეთ „მყვლეფელ და გაბატონებულ კლასებს“—განთავისუფლებული საქართველო დააფასებს ჩვენს გულწრფელ შრომას და თვით ჩვენი სოციალისტები თავს მოიხრიან თავისუფალ საქართველოს წინაშე, ვინაიდგან თავისუფალი საქართველო შეჰქმნის ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომელი ნორმებიც მოსპობენ ჩვენში ყოველგვარ უპირატესობას ამა თუ იმ კლასისას და აიძულებენ ყველა ქართველს, პირველ ყოვლისა, მთელის თავის არსებით ემსახუროს ქართველ ხალხს, ქართველ დემოკრატიას და ხელი შეუწყოს ქართული სულის განსპეტაკებას.

მაშინ კვლავ გაისმის საქართველოში უკვდავი ჰანგი შოთას მუსიკისა და ყოველი სიბოროტე ქედს მოიხრის ამ უკვდავი ჰანგების წინაშე ისე, როგორც თვით მხეცებიც მშვიდდებოდენ ხოლმე ორფეოსის გრძნეულ სალამურის ხმის გაგონებაზე.

ია ეკალაძე

დამფუძნებელი კრება.

მომენტი ბევრ რთულ კითხვებს გვიყენებს და მრავალ ძნელ გაკვეთილს გვაძლევს. არსებული მდგომარეობა განსაკუთრებულ ნიჭს, ენერგიას, დაკვირვებას და მოქმედებას ითხოვს ყოველ მოქალაქისგან. უეცრად გამოწვეული „რღვევა“ მრავალ კრიზისებს ქმნის. უბატონო ხანას ყოველი კაცის ინსტინქტი მზეზე გამოაქვს. თეორეტიულმა თავისუფლებამ პრაქტიკულ ასპარეზზე საშიშროება დაბადა. ნაწილი ბორკილებისგან დახსნილი ხალხისა აშკარად გაურბის საერთო პასუხის მგებლობას და იმას აკეთებს, რაც მას ჰსურს და საკუთარი იდეა ავალებს.

ეს ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ამით სახელმწიფოს სიმტკიცეს მის არსებობის დიდი უბედურება უმზადდება. სახელმწიფური „შენობა“ ვერ ითმენს „შენ ჩემიანობას“ აქ ყველაფერი უნდა საერთოდ განსჯილი იყოს და ერთ ძლიერ ორგანოს ექვემდებარებოდეს. რევოლუციის განცდამ რუსეთის ცხოვრება ძირიან-ფესვიანად გადაანგრ-გადმოანგრია. ხანა ალტყინებისა, ძველი რეჟიმის ძაგებისა და ახალის დიდებისა წარვიდა.

მომავალი და აწმყო დრო აფორიაქებულ მდგომარეობის მოვლას გვიბრძანებს. რუსეთში ამ საჭიროებას საკმაოდ გრძნობენ და ეჩქარებიან **საბოლოო გზაზე** შესადგომად. ეს საბოლოო გზა არის სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება. იგი დააწესებს სოციალურ ცხოვრების სამუდამო სახეს, იგი შეიმუშავებს სახელმწიფურ ფორმასაც. დამფუძნებელ კრების მნიშვნელობა და მოვალეობა განუსაზღვრელია. მან უნდა შექმნას ახალი ცხოვრების ფორმები, მან უნდა ჩააყენოს მკვიდრ კალაპოტში ამღვრეული ცხოვრება. რა გვევალება ჩვენ, ქართველებს?

ნამდვილი გაგება ერის საჭიროებათა მოთხოვნილების საერთო ჯამის შედგენა. ქართველ ხალხის, ქართველ მცხოვრების ჭეშმარიტ წევრის და მცოდნის წარგზავნა დამფუძნებელ კრებაზე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს' რომ ის, რასაც დაადგენს დამფუძნებელი კრება, საყოველთაო და დიდი ხნისთვის იქნება. ამ დროს თუ რამე შეცდომა ჩავიდინეთ, ჩვენი საჭიროება სწორად ვერ წარვადგინეთ დამფუძნებელ ყრილობაზე, ეს ჩვენი ცხოვრებისთვის საუკუნო ბოროტებად დაგვირჩება და მიუტევებელ დანაშაულად ჩამოგვერთმევა.

ჩვენთვის ძლიერ საჭიროა რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ჩვენს დედა ქალაქ თბილისში მოწვეულიყო სრულიად საქართველოს ეროვნული თათბირი უსაჭიროეს კითხვების შესახებ.

ჩვენდა ღრმა სამწუხაროთ, ამას დღეს დღეობით ვერ ვხედავთ. პარტიები იწვევენ კონფერენციებს, განაჩენები გამოაქვთ, მხოლოდ სრულიად საქართველოს ხალხის უპარტიო ყრილობა არსად გვევლინება. რას ვაყოვნებთ? ნუ თუ არ გვესმის, რომ ცალკე პარტიულ დოქტრინებით საქართველოს ვერას უშველით და ვერც რუსეთის დამფუძნებელ კრებისგან მივიღებთ რასმე?

დამფუძნებელ კრებაზე უნდა წარვადგინოთ ქართველი ხალხის ძირითადი მოთხოვნილება ამ ხალხის ინტერესებთან შეთანხმებული და გადასკვნილი დამფუძნებელ კრების წინაშე უნდა წავრსდგეთ საერთო ხმით, საერთო აზრით, უამისოთ ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება. სასწრაფოთ შეუდგეთ დამფუძნებელ კრებისთვის საერთო მზადებას საარჩევნო პროექტი უკვე გამოქვეყნდა. დაგვიანება დამღუპველი იქნება.

გავიგოთ ყველამ ეს და შეუდგეთ საქმეს, რომელზეც დამოკიდებულია მთელი ხალხის ბედ იღბალი და მომავალი ბედნიერება.

Di•.

რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

დეპეშები

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა.

პეტროგრადი. ივნისის 3. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნა საღამოს 8 საათზე პირველ კადეტთა კორპუსის შენობაში. ყრილობას დაესწრო 800 დელეგატი. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჩხეიძემ. ყრილობაზე მოვიდნენ: კაკი წერეთელი, სკობელევი, და კერენსკი, რომელთაც ტაშის ცემით მიეგებნენ. ყრილობის თავმჯდომარეთ ირჩევენ ნ. ჩხეიძეს. აბრამოვიჩს შეაქვს კითხვა შვეიცარიის სოციალისტთა ციმმერვალდის კონფერენციის წარმომადგენლის გრიმის შესახებ. წერეთლის მოთხოვნით გადასწყვიტეს ამ კითხვის განხილვა. სიტყვას ამბობს მარკოვი და წერეთელთან და სკობელევთან ერთად მკაცრს პროტესტს უცხადებენ გრიმმის გამოგზავნის შესახებ. წერეთელი ხაზ გასმით განმარტავს იმ გარემოებას, რომ გრიმმი არა ერთხელ აცხადებდა პროტესტს რუსეთის დამოუკიდებლად მოქმედების წინააღმდეგო. დიდი კამათის შემდეგ 640 ხმით 12-ის წინააღმდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია: ყრილობა სავსებით იზიარებს წერეთლისა და სკობელევის შეხედულობას გრიმმის შესახებ, რომელი შეხედულებაც ეთანხმება რუსეთის რევოლუციის ინტერესებს და საერთაშორისო სოციალიზმს.

პეტროგრადი. ივნისის 4. ივნისის 3 სხდომაზე მარკოვი გრიმმის შეკითხვების შესახებ ამბობს: რუსეთის რევოლუციური დემოკრატია პირველად სჭრის ზავის კითხვას, როგორც ძლიერად დარაზმული ძალა. ევროპას მოედება ხმა, რომ რუსეთის რევოლუციამ შექმნა ძლიერი მებრძოლი ზავის ჩამოსაგდებლადო. ევროპის მშრომელი მასა თანაგრძნობით მოეპყრობა დემოკრატიული რუსეთის მიერ წამოსროლილს ლოზუნგს. მილიუკოვმა განაცხადა,რომ გრიმმის რუსეთში შემოსვლა შეუძლებელია რადგან იგი გერმანელების საიდუმლო აგენტიაო. მილიუკოვის ასეთმა განცხადებამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებში მღელვარება გამოიწვიაო. როდესაც მილიუკოვი თანამდებობიდან გადადგა, რუსეთმა ნება დართო გრიმს შემოსულიყო. მარტივი დასკვნის: გრიმმი გამოგზავნილია მისთვის, რომ მინისტრ სოციალისტებმა მიიღონ მისი განცხადება. მინისტრი სოციალისტები გრიმმის პასუხით კმაყოფილნი არიან. დროებითს მთავრობას არავითარი საბაბი არ მოეპოება, რომ გრიმმის განცხადებით არ დაკმაყოფილდებიანო.

დიბერი ამბობს: დროებითი მთავრობის წინანდელმა შემადგენლობამ ვერ შესძლო ემოქმედნა სასურველად საშინაო და სოციალურ-ეკონომიურს პოლიტიკაშიო. განსაკუთრებით სისუსტე გამოიჩინა მან ზავის კითხვის შესახებ, რამაც გამოიწვია უმთავრობობა. მთავრობა საჭიროებდა სიძლიერეს, რომ ქვეყანა ეხსნა ანარქიისაგან, რამაც გამოიწვია გუჩკოვისა და მილიუკოვის თანამდებობიდან გადადგომა. სოციალისტების სამინისტროში შესვლით. დროებითი მთავრობა დაუყონებლივ ატარებს ცხოვრებაში დასახულ მიზნებს და დიპლომატიურის საშუალებით სინჯავს მოკავშირეთა ხელშეკრულებებს და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვს, და მოუწოდებს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს თავის პროგრამისაკენ. იგი ისწრაფვის შესაფერის პირობების შესაქმნელად რუსეთის დემოკრატიისათვის და ცდილობს საერთაშორისო მშრომელი ხალხის შეკავშირებას. ჯარის დემოკრატიზაცია ჩვენს სიძლიერეში გამოიხატა. სამხედრო ძალის გასაძლიერებლად დემოკრატიულს საფუძვლებზე მუშაობა სწარმოებს. დაარსდა ცენტრალური ადგილობრივი სამმართველონი, რომელნიც შეიმუშავებენ შესაფერს ზომებს მუშათა, მიწისა, ფინანსიურისა და ეკონომიურის პოლიტიკის შესახებ. მიღებულია ზომები დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევისათვის. რომ ახალმა მთავრობამ სისრულეში მოიყვანოს თვისი განზრახვა, საჭიროა ენერგიული დახმარება რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიისა. მინისტრები, რომლებიც პასუხის მგებელნი არიან საბჭოს წინაშე, რევოლუციურ დემოკრატიის ენერგიულს დამყარებას საჭიროებენ მთავრობის გასაძლიერებლადო.

დამფუძნებელი კრების გარშემო.

პეტროგრადი. ივნისის 1. განსაკუთრებულმა თათბირმა, რომელიც ამუშავებს პროექტს დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ მსჯელობა იქონია კითხვაზე ექნეს, უფლება თუ არა იმ პირთ, რომელთაც სასამართლოს წესიც წართმეული ჰქონდათ ყოველგვარ უფლებები. დეზერტირების შესახებ მიიღეს წინადადება ნაბაკოვისა, მიანდონ ეს საქმე ჯარის მიერ შედგენილ კომისიას განსახილველად. შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა: აირჩიონ 4 ახალი კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთ.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. ივნისის 1. დროებითმა მთავრობამ დაადგინა შეიცვალოს კანონი ქალების და ბავშვების ქვანახშირზე ღამით მუშაობის შესახებ.

ალბერტ ტომამ ინახულა დრ. მთავრობის წევრები.

პეტროგრადი. ივნისის 2. სასწრაფო. საფრანგეთის მინისტრმა ალბერტ ტომამ საფრანგეთში წასვლის წინდღით ინახულა დროებითი მთავრობის წევრები. საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასცა მას ნოტა, სადაც ნათქვამია: რუსეთის რევოლუცია არის რუსეთის შინაური წესწყობილების ძირიანად შემცვლელი და ამავდროს ძლიერი იდეური მოძრაობა, რომელიც გამოხატავს რუსეთის ხალხის ნებისყოფასა და სურვილებს და ისწრაფვის თანასწორობისა და თავისუფლებისაკენ. დღეს რუსეთის ხალხის სურვილია მიაღწიოს მსოფლიო ზავსა და მშვიდობიანობას. ამ მისწრაფებას კი საფუძვლად უდევს ყოველგვარი ძალადობისა და იმპერიალისტური გულისთქმის სავსებით უარყოფა. ხელს ვიღებთ ყოველგვარ დაპყრობით პოლიტიკაზე. თუ ჩვენი ასეთი მისწრაფება არ გამოიწვევს რაიმე უთანხმოებას მოკავშირე სახელმწიფოთა შორის, ცხადია, მათთან მჭიდრო კავშირით მივაღწევთ სასურველ ზავსო. რუსეთის დემოკრატია მიესალმება იმ მოკავშირე სახელმწიფოს, რომელიც მიიღებს ამ ჩვენს წინადადებასო. ამ მიზნით რუსეთის დროებითი მთავრობა მოიწვევს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციას, რომელმაც საბოლოოდ, უნდა გადასჭრას ის კითხვა.

ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი.

პეტროგრადი. ივნისის 3. დროებითმა მთავრობამ ივნისის 2 გამოსცა ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის ჯარის დამარცხება გათხრიდა არამც თუ ახალს ,,ძმათა საფლავებს'',არამედ დაღუპავდა თვით რუსეთის თავისუფლებასაც. მიუხედავათ გერმანელების პროვაკაციისა რუსეთის დემოკრატია მიისწრაფვის სასურველ ზავისაკენ. ამ მიზნისათვის იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნის დაჩაგრულს კლასებს და ბოლომდის ეცდება სისრულეში მოიყვანოს თავისი მიზანი.

ექიმთა პროექტის დამტკიცება.

კამენეც-პოდოლსკი. ივნისის 3. გენერალმა ბრუსილოვმა დაამტკიცა ექიმთა დელეგაციების მიერ შემუშავებული პროექტი, რომ თითეული პოლკის ექიმები უნდა შეადგენდენ კოლეგიას, რომელიც უნდა არჩევდესყველა კითხვებს ექიმთა შემადგენლობისას. დივიზიის ექიმები შეადგენენ სადივიზიო ყრილობას, კორპუსის ექიმები სარაიონო ყრილობას მთელი არმიის ექიმები დელეგატები დროგამოშვებით იკრიბებიან. გარდა ამისა ირსდება ჯარის სანიტარული საბჭო, რომლის დადგენილებანი სავალდებულო იქნება შტაბის განყოფილების სასანიტრო უფროსისათვის.

საზღვაო საბჭოს დაარსება.

პეტროგრადი. ივნისის 3. საზღვაო მინისტრმა დროებითი მთავრობის წარმომადგენლობით აღადგინა მჭიდრო კავშირი ფლოტისა და ცენტრალ დაწესებულებათა შორის და შეუდგა საზღვაო საბჭოს დაარსებას, რომლის შემადგენლობაშიაც შევლენ ფლოტის სხვადასხვა საქმის სპეციალისტები, ოფიცრებისა და ჯარისკაცთა მიერ ამორჩეულები. საბჭო ამტკიცებს ყველა კითხვებს საადმირალო საბჭოს შესახებ რომელიც გაუქმებული უნდა იქნას. სრულიად რუსეთის საბჭოს დარსებამდის მოწვეულ იქმება თათბირი ადმინისტრაციისა ნავთ სადგურების მუშების წარმომადგენლებისა, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები ფლოტის ტეხნიკურად მოსაწყობადა და გემთა საამშენებლო საქმეთა გასაუმჯობესებლად. საზღვაო მინისტრის ბრძანებით უნდა უარყოფილ იქნას ცენტრალ დაწესებულებათა ბიუროკრატიული საშუალებანი მუშაობის შესახებ.

საზღვაო სამინისტრომსაჭიროთა სცნობს სხვადასხვა სპეციალ განყოფილებათა უფროსების დამოუკიდებელი მოქმედებას რომელნიც დაკავშირებულ იქნებიან საზღვაო სამინისტროსთან და აგრეთვე აღიარებს სხვადასხვა განყოფილებათა შორის შეკავშირებას. საზღვაო მინისტრი მოუწოდებს ყველა უფროსებს, რათა მეტი ინიციატივა და ენერგია გამოიჩინონ ამ საქმეში. ამ რეფორმის განხორციელება სამინისტრომ დაავალა საზღვაო მინისტრის პირველ ამხანაგს.

სახ. სათათბიროს სხდომა.

პეტროგრადი. ივნისის 3. სახელმწიფო სათათბიროს კერძო სხდომაზე საერთაშორისო პოლიტიკის კითხვის ნიადაგზე შიდლოვსკისა, მილიუკოვისა შულგინისა, მაკლაკოვისა და ბუბლიკოვის სიტყვების შემდეგ გამოიტანეს რეზოლუცია, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია: სახელმწიფო სათათბიროს წევრნი. კერძო თათბირზე შეკრებილნი მოელიან რა ახლო მომავალში რუსეთის ბედის გადაწყვეტას, თავს მოვალედ რაცხვენ აღიმაღლონ ხმა რათა არ იქნას გადადგმული საბედისწერო ნაბიჯები, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობას განუზომელ უბედურებას უქადის 2 წლის განმავლობაში სათათბირომ რამდენჯერმე განიმეორა, რომ გერმანელების დანაშაული დიდია, იგი რამდენიმე წლებია, რაც ემზადებოდა, რომ თავს დასხმოდა მეზობელ სახელმწიფოთ. მან სისრულეში მოიყვანა განზრახვა, როდესაც იგრძნო თავი თვისი ძლიერად. მიზანი, რომელიც ამოქმედებდა გერმანიას უკვე გამომჟღავნდა. ეს არის ფული და სხვისი ტერიტორიის ხელში ჩაგდება. ამის და მიხედვით სათათბიროს წევრნი შეუძლებლად სცნობენ გერმანეთთან სეპარატიული ზავის ჩამოგდებას, რაც ჩვენს დამცირებას და მოკავშირეთა ღალატს მოასწავებდაო. ეს თუ ასე მოხდა გერმანეთი მიზანს მიაღწევს. სეპარატიული ზავი ზნეობრივად ჩამოაშორებდა რუსეთს ევროპის სახელმწიფოებისაგან და რუსის სახელის ხსენება კი არა სასიამოვნო იქნებოდა მათთვის. რუსეთი ყოფნა არ ყოფნის კითხვას განიცდის. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ მოქალაქეთ და განსაკუთრებით ჯარს, რომლის ხელშიდაც არის დღეს ფიზიკური ძალა და სამშობლოს ბედ იღბალი, რომ მოკავშირეთაგან ჩამოშორება ჩვენ გადაგვაქცევდა გერმანელების მონებად. ამიტომ სახ. სათათბირო მოითხოვს დაუყონებლივს შეტევას გერმანელების წინააღმდეგ მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად და გამოსთქვამს აგრეთვე იმედს ომის მალე გათავებისას.

მინისტრთა საბჭოს ყრილობა

პეტროგრადი, ივნისის 3. წერეთელი განმარტავს რა ფაქტიურს მხარეს გრიმმის შესახებ, ამბობს: გრიმმის შემოშვება რუსეთში მოხდა ერთის მხრით რევოლუციურ დემოკრატიის სურვილით და მეორეს მხრივ სკობელევის და წერეთლის პასუხის მგებლობით. ჩვენ ვამბობდითო, განაგრძობს წერეთელი, ხელმძღვანელს შვეიცარიის დემოკრატიისა, რომელმაც აღმართა დროშა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, როგორც ყველა ქვეყნის, ისე თვისი მთავრობის წინაღმდეგ, აქვს სრული უფლება რუსეთის ტერიტორიაზე შემოსვლისა. ჩვენ საჭიროთა ვცნობთ, რუსეთის ფარგლებში ყველას უფლება ჰქონდეს თავისუფალი აზრის გამოთქმისა. ჩვენ კარგად გვახსოვს კონგრესის დადგენილება. არამც თუ გვახსოვს, არამედ გატარებულ იქნა კიდეც ცხოვრებაში ეს დადგენილება ერთი კვირის წინად. საგარეო საქმეთა მინისტრის შეკითხვაზე განვაგრძობთ, თუ არა ჩვენ პასუხის გება გრიმმის შემოშვების შესახებ, ვიტყვით, ჩვენ რომ არ გვქონდეს ხელში გასამართლებელი საბუთი. შევეკითხებოდით გრიმს. ჩვენ წინადადებით მივმართეთ გრიმს და განუცხადეთ, რომ მასზე დადის ხმები თითქოს გერმანეთის მთავრობის მიერ იყოს გამოგზავნილი და მოვითხოვეთ განეცხადებია კატეგორიულად, რომ ასეთი მეთოდი მებრძოლ სასელმწიფოს მხრივ არის თუ არა პროვოკატორული, როცა იგი სცდილობს ამით ისარგებლოს თვისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად. გრიმისათვის ეს წინადადება იმდენათ შეურაცხყოფელი შეიქნა, რომ მან წარმოადგინა საბუთი.

(გაგრძელება იქნება)

რუსეთი.

(პ. დ. ს.)

დეპეშები.

ჯარისკაცთა შუამდგომლობა.

სიმფეროპოლი. ივნისი 3. მე-33-ტე ქვეითა სათადარიგო პოლკის მე-6-ე როტის ჯარის კაცებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ საჩქაროთ გაიგზავნონ ბრძოლის ველზე, რადგან ზურგს უკან ყოფნა უხერხულად მიაჩნიათ მაშინ, როდესაც თვით ქალებიც კი ჯარში წასასვლელად ემზადებიანო.

საზღვაო მინისტრის თანაშემწის თანამდებობიდან გადადგომა.

პეტროგრადი. ივნისი 3. საზღვაო მინისტრის თანაშემწე მუსინი თანამდებობიდან გაადგა. მის ადგილზე ინიშნება ბალტიის ზღვის საჰაერო დივიზიის უფროსი დუდეროვი, მინისტრის პირველ ამხანაგად წყალქვეშა ნავთა უფროსი ლიგმანის ოფიცერი კუკოლი; მეორე ამხანაგათ საარტილერიო განყოფილების და გემთა საამშენებლო მთავარ სამმართველოს უფროსი იგნატიევი.

პურზე ბარათების შემოღება.

ნოვოჩერკასკი. ივნისი 3. სასწრაფო. პურის მისაღებად შემოიღეს ბარათების სისტემა.

უცხოეთი.

(პ. დ. ს.)

დეპეშები.

დაწესებულებათა ლიკვიდაცია.

სტოკჰოლმი. 3 ივნისი. დასრულდა ლიკვიდაცია დასავლეთ ფრონტის დამხმარე დაწესებულებათა. ქონება გადაეცა საერობო კავშირს.

დროებითი კრედიტი.

პარიზი. 2 ივნისი. პალატამ მიიღო დროებითი კრედიტი. კენჭის ყრის წინ რენოდელმა წაიკითხა სოციალისტების სახელით მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ პარტიები კრედიტს კენჭს უყრიან ეროვნულს ნიადაგზე, რომ მიღწეულ იქნას ყველა ერთა უფლების აღდგენის მიზანი ელზას-ლოტარინგიის 1891 წლის უფლების აღდგენითო. ზავის ჩამოგდება კი უნდა მოხდეს ყველა ერთა თვით-გამორკვევის ნიადაგზეო.

გერმანეთის სოციალ დემოკრატების წარმომადგენლნი სტოკჰოლმში.

სტოკჰოლმი. 2 ივნისი. გერმანეთის სოციალ-დემოკრატების დელეგატებმა გამოსთქვეს თავიანთი შეხედულება მომავალი ზავის შესახებ მემორანდუმში, რომელიც ჰოლანდიისა და სკანდინავიის კომიტეტის შეკითხვაზე პასუხს წარმოადგენს. მემორანდუმში ნათქვამია: ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ძალით სხვისი ტერიტორიის მითვისებისა. ურთიერთშორის მორიგებით საზღვრების შესწორების დროს, მცხოვრებთ გადასახლების უფლება უნდა მიენიჭოთ. ჩვენ მოვითხოვთ წართმეულ კოლონიების დაბრუნებას უარყოფთ სამხედრო კონტრიბუციას. ჩვენ ვემხრობით დაჩაგრულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენას, მაგრამ უარვყოფთ ცალმხრივ ვალდებულებას დანგრეული სახელმწიფოთ რომელთაც არ ძალუძსთ საკუთარის ძალღონით აღადგინონ დანგრეული ეკონომიური ცხოვრება, საერთაშორისო დახმარება უნდა აღმოუჩნდეს. საერთო შეთანხმების პრინციპით ჩვენ ვაღიარებთ ბელგეთის აღდგენას, რომელიც არ უნდა იყოს ვისიმე ვასალი. სერბეთის შესახებ ჩვენ უერთდებით ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის განცხადებას. ომის დამთავრება უნდა მოხდეს ყველა ერების თვით-გამორკვევის უფლების მინიჭებით. ეს შეეხება პოლონეთის სამეფოს, და ფინეთს. დანარჩენ წვრილ ერებს, რომელთა შესახებაც არ არის აღძრული კითხვა დამოუკიდებლობის შესახებ უნდა მიენიჭოსთ ავტონომია. ჩვენ სიმპატიით ვეპყრობით ეროვნულ ერობის განმტკიცებას ირლანდიისას ეგვიპტესი, ტრიპოლისა, მოროკოსა, ინდოეთისა, ტიბეტისა, კორეისა და სიამისა. ჩვენ ვგმობთ მშობლიური ენის უფლებათა დამცირებას შლეზვიგში, პოზნანში, დასავლეთ პრუსიაში და ელზას-ლოტარინგიაში. ავსტრო-უნგრეთის ეროვნებათა კითხვაში ავსტრო-უნგრეთის ამხანაგების აზრს უერთდებით. ელზას-ლოტარინგიის შესახებ ვისწრაფვით, მიენიჭოს მას სრული თანასწორობა, როგორც დამოუკიდებელ გერმანეთის სახელმწიფოს და დემოკრატიული კანონ-მდებლობა შინამმართველობის საქმეებში.

ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

უკრაინელების მოქმედება.

ოდესა. ივნისის 2. უკრაინელ ჯარის კაცებს დაურიგდათ ფურცლები, უკრაინის რადის მოწოდებისა, სადაც ნათქვამია: არ წახვიდეთ ფრონტზე, სანამ უკრაინის პოლკების შედგენის უფლებას არ მივიღებთ. ფრონტზე გასაგზავნმა უკრაინელებმა უარი განაცხადეს ბრძოლის ველზე წასვლაზე უკრაინელ ჯარისკაცებმა დელეგაცია გაგზავნა მთავარ სარდალ შერბაჩევთან და სთხოვა ნება დაერთოთ უკრაინელ პოლკების შესადგენათ ამის შესახებ მოხდა თათბირი მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატებისა რომელზედაც დაადგინეს რომ უკრაინელების ასეთი გამოსვლები დროის შეუფერებელიაო.

სეიმის სხდომა.

ჰელსინგფორსი. მაისის 31. სეიმის სხდომაზე ირჩეოდა კითხვა დროებით მთავრობის მიერ დამტკიცებულ კანონზე ფინეთის სეიმის უფლებების გაფართოვების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სენატორმა. ის შეეხო ფინეთის და რუსეთის შორის დამოკიდებულებას, აგრეთვე შინაურ მდგომარეობას. გაიფიცენ სასოფლო—სამეურნეო მუშები და ანარქიის საშიშროება არსებობსო კანონ პროექტი გადაეცა კომისიას განსახილველად.

პეტროგრადი. ივნისის 3. უკრაინის ცენტრალურმა რადამ წარუდგინა მთავრობას თავისი დადგენილებანი უკრაინის მომავალ წესწყობილების შესახებ. იქ გამოთქმული სურვილები სამ ჯგუფად იყოფა პირველი ეხება უკრაინაში ავტონომიის დაწესებასა და მოითხოვს მთავრობისაგან განსაკუთრებული აქტის გამოცემას, რომლის მიხედვით უკრაინელებით დასახლებული 12 გუბერნია ადმინისტრატიულათ უნდა გამოცალკევდეს, დაწესდეს ადგილობრივი თათბირი და აგრეთვე განსაკუთრებული კომიტეტი მთავრობასთან უკრაინის საქმეების შესახებ. ამ სურვილების განსახილველად დაწესებული განსაკუთრებული კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის შჩეპკინის თავმჯდომარეობით, რომლის მოხსენება მთავრობამ მოისმინა და გადასწყვიტა გამოსცეს განსაკუთრებული დასაბუთებული დადგენილება რომლის რედაქციის შემუშავება იურიდიულ თათბირს მიანდო. თავის დადგენილებას ძირითად დებულებათა განხილვის დროს მთავრობამ ყურადღება მიაქცია შემდეგ პრინციპიალურ მოსაზრებათ შეიძლება თუ არა უკრაინის ცენტრალური რადა ჩაითვალოს მთელი უკრაინელ ხალხის ნებისყოფის გამომხატველად? რადგან ეს რადა არ არის არჩეული საყოველთაო ხმის მიცემით, მთავრობას არ შეუძლია მიიჩნიოს იგი მთელი უკრაინის ხალხის ნების ყოფის გამომხატველად და აღიარებს, რომ უკრაინის ავტონომიის კითხვის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, რის გამო მთავრობას ეძნელება ამ კითხვის შესახებ აქტის გამოცემა. რადგან ეს დამფუძნებელ კრების უფლებათა შელახვა იქნებოდა. გარდა ამისა ავტონომიის დანამდვილებითი შინაარსის გამოურკვევლობის გამო ეს აქტი არეულ-დარევას გამოიწვევდა. მთავრობამ გადასწყვიტა ერთხმად არ გამოსცეს აქტი უკრაინის ავტონომიის შესახებ მთავრობამ საჭიროთ სცნო აგრეთვე არ იქნას შემოღებული უკრაინაში ახალი ადმინისტრატიული წესწყობილება, რადგან ეს შეადგენს დამფუძნებელ კრების გადასაჭრელ კითხვას. რაც შეეხება უკრაინის დამოუკიდებელი ჯარების შედგენას მთავრობამ შესაძლებლათ სცნო დროებით ამ კითხვის გადაჭრა იმ ზომით, რაც საჩვენებია სამხედრო მინისტრის წინადადებაში. ამასთანავე მთავრობა ხაზს უსვამს, რომ იგი სცნობს უკრაინელთა ეროვნულს განსხვავებასა ცხოვრების პირობების თავისებურობას. ამიტომ საჭიროა უკრაინელების ცხოვრების მომავალში მოწესრიგება.

მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივნისის 3. ოფიციალი. ტრეტინოს აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ ძნელად გასავალ ადგილებში. იერიშები მივიტანეთ მტრის სიმაგრეებზე, წამოვიყვანეთ ტყვეები, წამოვიღეთ იარაღები, 4 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო მასალა. მაღლობ 201 ჩვენზე იერიშები მოიტანა მტერმა. მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. მტერი ფრიად დაზარალდა. წამოვიყვანეთ 52 ტყვე ჯარის კაცი, მათ რიცხვში 4 ოფიცერი. რომეონის მთის სამხრეთ კალთებზე ჩვენ დავიკავეთ მტრის მოწინავე პოზიციები.

ლონდონი. ივნისის 4. დღეს დილით მტრის რამდენიმე საჰაერო გემი მოუახლოვდა ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილს. ორი მათგანი ძალზე დაგვიახლოვდა. ერთმა მათგანმა გადაფრინდა პირდაპირ. მეორე გამოჩნდა კენტის თავზე. ჩამოყარა ყუმბარები. ზარალი მოგვაყენა და ცეცხლიც გამოიწვია. ერთი ცეპელინი ჩამოვაგდეთ.

პარიზი. ივნისის 4. ოფიციალი. ივნისის 3 ბიურკერის მახლობლად დღისით ბრძოლა განახლდა. ჰინდერბურგის ჩრდილო დასავლეთ ხაზით ჩვენ წინ წავიწიეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები. მდ. იპრის სამხრეთით საარტილერიო სროლაა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია.

პირველი დღე

ა) დილის სხდომა. დამფუძნებელ კონფერენციის დილის სხდომა დაიწყო ნაშუადღევის 12 საათზე. ახალი კლუბის დარბაზი ხალხით გაჭედილია. საერთო რიცხვი დელეგატებისა 200-მდე აღწევს. მრავალი დელეგატი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა, მრავალ ადგილებიდან კი ტეხნიკური დაბრკოლების გამო ცოტანი ჩამოვიდნენ. კრება დაიწყო სპირიდონ კედიამ რომელიც სიტყვით ესალმება საზოგადოებას. სხვათა შორის ორატორმა სთქვა, რომ საქართველოს ეროვნული იდეალი ან ეხლა უნდა განხორციელდეს, და ან არასოდესო; ეხლავე უნდა შევუდგეთ ჩვენი პროგრამის მაქსიმუმის განხორციელებას. თავისი სიტყვა კედიამ სურვილით დაასრულა: ღმერთმა ჰქმნას მეორე კონფერენცია უფლება შემოსილ თბილისში გვენახოსო.

სპ. კედიას სიტყვის შემდეგ დაიწყო არჩევნები წამოყენებულ იქნა რამდენიმე კანდიდატთა სია. მათ შორის იყო სია მთავარ კომიტეტისა. მცირე კამათის და კენჭის ყრის შემდეგ პრეზიდიუმში არჩეულნი იქმნენ შემდეგი პირები: საპატიო თავმჯდომარეებად: ბ. ბ. ნიკო ნიკოლაძე და პროფ. ალ. ცაგარელი. კონფერენციის თავმჯდომარედ სპ. კედია. მის ამხანაგებად: დათიაშვილი (კახელი გლეხი), ვასილ წერეთელი, იოსებ დადიანი, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული. მდივნებად: შალვა ტატიშვილი, ლ. ჯაფარიძე, ტ. ტაბიძე და რ. ინგილო. ამ არჩევნებით თავდება დილის სხდომა.

ბ) საღამოს სხდომა.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე. თავმჯდომარეობს სპ. კედია. წაკითხულ იქმნა ოქმი სამანდატო კომისიის შესახებ სამანდატო უფლებისა, მოხსენებიდან სჩანს, რომ კრებას დაესწრო 164 წევრი.

შემდეგ დაიწყო მისალმება. დამსწრენი ოვაციებით ეგებებოდენ საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩამოსულთ განსაკუთრებით საინგილოს, ხევსურეთისა და ქართველ ისრაელთა წარმომადგენლებს.

აჭარის წარმომადგენელმა ხოჯა ახმედ ეფენდი ქათამაძემ ვერ დაჰფარა სიხარული, რომ მას შეუძლიან წარმოსთქვას სიტყვა თავისუფალი ქართველისა. იგი იმედოვნებს, რომ განხორციელდება იდეალი ქართველი ერისა, საქართველო მალე ეღირსება განთავისუფლებას, ავტონომიას. მაჰმადიანები ქართველები აღფრთოვანებით ელოდებიან ამ დღეს და იმედოვნობენ, რომ გაერთიანებული აღდგენილი საქართველო შემოიკრებს მაჰმადიან მოძმეებს.

შემდეგ კრებას მიესალმა საინგილოს წარმომადგენელი რაფ. ინგილო. საინგილოო, სთქვა მან, ჟამთა ვითარების გამო მოწყვეტილიყო დედა-ქვეყანას—საქართველოს, მაგრამ ქართული სული და და გრძნობა იქ არ მომკვდარა. აღდგენილმა საქართველომ უნდა შემოიერთოს ეს მრავალ ტანჯული კუთხეც, მთლიანად, გაერთიანებულად, და არა ისე, დაქსაქსულად, როგორც ეს აღიარა ამ რამდენიმე კვირის წინად მომხდარ ფედერალისტთა კონფერენციამ. რასაკვირველია, პარტიათა შეთანხმება კარგი მოვლენაა, მაგრამ არ უნდა იტეხებოდეს. ეროვ.-დემოკ. პარტ. დამფუძნებელ ყრილობამ უნდა ავტორიტეტულად აღიაროს, რომ მომავალ საქართველოს ფარგლებში საინგილოც მთლიანად მოემწყვდევა ამას მოელის საინგილო.

ხევსურეთის წარმომადგენელი გოგოთურ ჭინჭარაული მიესალმება ყრილობას და განაცხადებს, ლამაზი სიტყვები, მართალია, გვაფრთოვანებს და გვახარებს კიდეც, მაგრამ საქმეზე რომ გადავიდეთ უმჯობესი იქნებაო. ჩვენს მოწინააღმდეგეებს და მტრებს უნდა უჩვენოთ ჩვენი ძალაც. საქართველო უნდა აღსდგეს და მოიპოვოს თავისუფლებაო.

ქართველი ისრაელების წარმომადგენელი იოსებ ხანანაშვილი ვრცელ სიტყვაში ახასიათებს ქართველ ისრაელების მდგომარეობას, მათ ყოველგვარს სივიწროვეს, მივიწყებას და გამოსთქვამს იმედს, რომ მათ ეხლა მაინც მიექცევა ყურადღება მოძმე ქართველებისაგან, დელეგატი ამტკიცებს, რომ ისრაელები მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან სხვა ქართველებში, ეროვნული შეგნებით კი ისინი ნამდვილ ქართველები არიან და იზიარებენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას, როგორც ნამდვილ ქართულ პარტიისას.

კახელი გლეხების წარმომადგენელი ბათიაშვილი მიესალმება კრებას თელავსიღნაღის გლეხების სახელით აღნიშნავს რა ეროვნულ ნიადაგზე მუშაობის ვითარებას კახეთ-ქიზიყში, იგი, სხვათა შორის უსაყვედურებს დასელებს, რომელნიც თავიანთ გატაცებით თუ მოქმედებით ლამობენ ისეთი წესწყობილება დაამყარონ, რომ ჩრდილო პოლიუსიდან ვიდრე სამხრეთამდე ერთგვარი ყვავილები ხარობდნენო. საბედნიეროდ დღეს აზრით არის საქართველო აღფრთოვანებული და მის შეუდრეკელ ნებისყოფას დასელებმაც და სხვებმაც ანგარიში უნდა გაუწიონო.

უკანასკნელი სალამი უძღვნა შორაპნის წარმომადგენელმა, რომელიც უსაზღვრო სიხარულს გამოსთქვამდა დღევანდელ დიდებულ ჟამის გამო.

თავმჯდომარე სპ. კედია პრეზიდიუმისა და ყრილობის მხრივ მიესალმება დელეგატებს.

შემდეგ გ. გვაზავა არდგენს ვრცელს მოხსენებას „საქართველოს ავტონომიის“ შესახებ. კრება 10 წუთით შეწყდა.

ქ. ფოთი. ხუთშაბათს, 1 ივნისს, ეროვნულ-დემოკრატიულ კლუბში ილარიონ ქლენტმა წაიკითხა შინაარსით მოხსენება მომენტის შესახებ. ის ვრცლად შეეხო დღეს არსებულ პარტიულ უთანხმოებას და მისს გამომწვევ მიზეზებს. მან აღნიშნა ისიც, რომ შეთანხმება ეროვნულ საკითხში მოხდება და ტერიტორიულ ავტონომიას ყველა პარტიები შეთანხმებულად მოითხოვონო. მოხსენება მეტად შინაარსით და დასაბუთებულ გამოდგა. ხალხი მრავალი დაესწრო, ასე რომ ადგილიც აღარ იყო მეტი. აღსანიშნავია ისიც რომ ამ მოხსენებას დაესწრო ყველა განურჩევლად მიმართულებისა. მომხსენებელი მხურვალე ტაშის ცემით იქნა დაჯილდოვებული.

ქართველი ენისა და ისტორიის მასწავლებელთა საყურადღებოთ

კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობაზე მიღებულ და დადასტურებულ იქნა სკოლის ნაციონალიზაცია რომლის პრაქტიკულად განხორციელებას უნდა შევუდგეთ მომავალი სამოსწავლო წლის პირველ სექტემბრიდან მაგრამ სანამ სკოლის ნაციონალიზაცია სავსებით განხორციელდებოდეს საჭირო, დედა ენის სწავლების გაძლიერება, ყველა კლასებში მისი სავალდებულოდ სწავლება, აგრეთვე სამშობლო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების შემოღებაც, ამიტომ დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ სამი ივნისს სხდომაზე დაადგინა შემდეგი: ხუთშაბათს, რვა ივნისს, საღამოს ექვს საათზე. ქუთაისის კომერციულ სასწავლებელში მოწვეულ იქნას ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელთა აგრეთვე ამ საგნების მცოდნე პირთა კრება რომელზედაც განსახილველი იქნება შემდეგი საკითხები: 1, მომავალ სამოსწავლო წლიდან რა ადგილი უნდა მიეცეს საშუალო სასწავლებლის კლასებში ქართულ ენას, ისტორიას და გეოგრაფიას, ე. ი. რამდენ-რამდენი გაკვეთილი და რომელი საათები დაენიშნება თითოეულ კლასში. 2) პროგრამის შემუშავება, 3) სახელმძღვანელო წიგნების გამორჩევა და 4, საკითხი ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელთა კანდიდატების შესახებ.

კავშირის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს როგორც ამ საგნების მასწავლებელთა აგრეთვე მცოდნ პირთ დაესწრონ კრებას

გამგეობის მდივანი **ლადო ბზვანელი.**

პეტრეს ქალაქის ქართული ახალშენი.

სენატორის თ-დ ლვოვის თავმჯდომარეობით მოხდა საზოგადო კრება პეტრეს ქალაქის ქართულ ახალშენისა. წამოყენებული იყო კითხვა პეტრეს ქალაქის ქართულ მრევლის მოქმედების შესახებ.

ა. ქორქიამ წაიკითხა დასაბუთებული მოხსენება, მანვე კრებას გააცნო ამ ორი თვის წინად დაარსებულ ქართულ კომიტეტის მიზანი. ეს კომიტეტი იცავს ადგილობრივ ქართველთა ინტერესებს და აჯგუფებს ერთად სხვადასხვა წრის ქართველებს.

ამ კომიტეტმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მოპოების საქმეში. კომიტეტმა აგრეთვე მთავრობას მოსთხოვა ამიერ კავკასიის კომისარიატში ხელახლავ დაენიშნათ კ. აბაშიძე. ამ ჟამად ქართული კომიტეტი შეთანხმებულად მოქმედებს ,,განაპირა ქვეყნების ეროვნებათა ბიუროსთან'', რომელიც პეტრეს ქალაქში არსებობს. კომიტეტმა დაადგინა, რომ ყოველგვარი ზომა მიიღოს, რომ ქართველ ხალხს დამფუძნებელ კრებაზე ჰყავდეს ეროვნული წარმომადგენლობა. კრებამ დასასრულ სალამი უძღვნა ირაკლი წერეთელს და მიულოცა მინისტრობა პირველ ქართველ მინისტრს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ალ. ალ. გარსევანიშვილს

ლექცია დ. საჩხერეში.

სამშაბათს, მაისის 30, დ. საჩხერეში ცნობილმა სახალხო უნივერსიტეტის ლექტორმა ბ-მ. ალ. ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია „ფინეთის ავტონომიის“ შესახებ მუსიკალურის დემონსტრაციით. მრავალი ხალხი დაესწრო ლექციას და დიდის ყურადღებით ისმენდენ მას. ლექტორი ლექციის დაწყებამდის მიესალმა დამსწრეთა და და მიულოცა რევოლუციის გამარჯვება. ამავე დროს გაისმა მარსელიოზის დიადი ჰანგი. შემდეგ დაიწყო ლექციის კითხვა და განიხილა რუსეთის იმპერატორი სალ. 1 მანიფესტი ფინეთის შესახებ. ლექტორმა აღნიშნა თუ რა დიდი სარგებლობა მიუტანა ფინეთს თავისუფალმა თვითმმართველობამ: დიდხანს შეჩერდა იმაზე, თუ როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა ხელოვნების ყოველი დარგი ავტონომიები ფინეთში. შეეხო ფინეთის ლიტერატურისა და სწავლა-განათლების საქმეს; განსაკუთრებულის ყურადღება მიაქცია ფინერმუსიკას. სიმებიანი კვარტეტი ასრულებდა ფინურ გელოდიეთ. ლექტორმა აღნიშნა, რომ ჩვენც ქართველებსაც, შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი მუსიკითო. კვარტეტის მიერ სამაგალითოდ შესრულებული იქნა „ნანა“ „ორიოდელა“ და სხვა ქართული სიმღერები. საზოგადოება განურჩევლად მიმართულებისა ოვაციებით ეგებებოდა ლექტორსა და ტაშის ცემით აჯილდოებდენ მას. მიართვეს ვარდები და დიდი გალობაც გამოუცხადეს ასეთი ფრიად შინაარსიანი ლექციისათვის. და მართლაც რომ ფრიად საინტერესოა გარსევანიშვილის ლექცია.

ეს ლექცია მით არის ღირს შესანიშნავი რომ მეცნიერული ხასიათისაა და არა ვიწრო პარტიულის თვალსაზრისით გაშუქებული. საჭიროა პატივცემული ლექტორი ამ ლექციას წაიკითხავდეს საქართველოს სხვადასხვა დაბა ქალაქებში, რასაც დიდი კულტურული მნიშვნელობა ექნებოდა..

საჩხერელი ლიგა.

ახალი ამბავი

◆ მოქალაქენო გთხოვთ დაესწროთ ქვიტირის ქუჩის მომავალ გასახსნელ საზოგადო წიგნთ საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ საღამოს ამავე ქუჩაზე კოსტა ბაბუნაშვილის სახლში ივნისის 10-ს საღამოს 8 საათზე.

◆ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრებისა, ბ. ბ. ჩხენკელისა და პაპაჯანოვისაგან ქუთ. ალმ. კომიტეტს შემდეგი დეპეშა მიუღია: კავკასიის საგანგებო კომიტეტი შესაძლებლად სცნობს, ნაფიცი ვექილი ქიქოძე კომიტეტის წევრად შემოვიდეს, როგორც ქუთ. ალმ. კომიტეტის წარმომადგენელი ქუთ. საოლქო სასამართლოს ყველა საქმეების გამო.

◆ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრმა ა. ჩხენკელმა წინადადებით მიჰმართა ქუთ. ალმ. კომიტეტს ტელეგრაფით შეატყობინოს გვარი და სახელი ყველა სამაზრო და სარაიონო ალ. კომიტეტების თავმჯდომარეებისა.

◆ წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ ქუთ. ალმ. კომ. წინაშე შუამდგომლობა აღძრა რათა განეთავისუფლებინათ რეკვიზიციისაგან. წმ. ნინოს სახ. სასწავლებლის შენობა შუამდგომლობა არ იქნა შეწყნარებული.

◆ ქუთ. საგუბ. ალმ. კომიტეტის წევრმა ბ-ნმა გაფრინდაშვილმა შემდეგი განუცხადა ხსენებულ კომიტეტს: ქუთაისის სატუსაღოში პატიმრები ძალიან გალაღებულნი არიანო. ესენი თურმე ათრობენ მსახურებს და პროპაგანდას უწევენ. გაფრინდაშვილის სიტყვით ტუსაღები კი არა, ბატონებივით გრძნობენ თავს პატიმრები.

◆ ქუთაისის საგუბერნიო ალმას. კომიტეტმა ყველა სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს შემდეგი წინადადება დაუგზავნა: ქუთ. ალ. კომიტეტამდი მოაწია ხმამ, ვითომც პროვინციაში ძალმომრეობას ხმარობენ სოც. ფედერალისტების წინააღმდეგ, დროშებს ართმევენ და ბიუროებს უნგრევდენ. იმ შემთხვევაში, თუ ეს მართალი გამოდგა, ასეთი საქციელი ხულიგანობას და პროვოკაციას უნდა მიეწეროს; ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნეს უსასტიკესი ზომები მსგავს გამოსვლების წინააღმდეგ: ხოლო დამნაშავენი კი უნდა დაისაჯნენ და დააპატიმრონ კიდეც.

◆ ახალი განკარგულება სალდათების შესახებ. კავკასიის მთავარ სარდალმა გენერალმა იუდენიჩმა ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით ის ჯარისკაცები, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევნი იყვნენ 1899, 1898 და 1897 წლებში და ამ ჟამად სოფლებში არიან გაშვებული სამუშაოდ, თიბათვის 15 დე უნდა გამოცხადდნენ სამსახურში, თორემ შემდეგ დეზერტირებად ჩაითვლებიან 1896 და 1895 წლებში გასაწვევთა და ამ ჟამად სოფლებში დათხოვილთა შესახებ ცალკე განკარგულება გამოვა; რაც შეეხება იმ ჯარისკაცებს, რომელთაც ფერშლის ანუ მწერლის ნამდებობა აბარიათ, ამათი დათხოვა სოფლებში შეუძლიანთ ჯარის სათანადო ნაწილის კომიტეტებს, მაგრამ იმ პირობით რომ საქმე არ დაბრკოლდეს.

◆ ცნობების ჯარის კაცების შესახებ. ჯარის-კაცი სოფრომ კიმოთის-ძე კურდღელია მსახურობდა 111-112-220 სათადარიგო პოლკების ზედამხედველთა რაზმში აზრუმის მახლობლათ. როგორც კერძო ცნობებიდან გავიგეთ, მარტში ავათ უნდა გამხდარიყო ხურვებით. ორი თვე არის მისი არაფერი ვიცით. გთხოვთ, თუ ვინმემ იცის მისი ამბავი გვაცნობოს. მისამართი. ბანძა, კაპიტონ ან ჯაფარიძე.

◆ მოქალაქე ალექსანდრე მაჩაიძე გთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მათ დაჰკარგვიათ შაქრის მის.ები (საყიდელი) ბარათი.

დანაშაული და სასჯელი.

(მოგონება).

მას აქეთ სწორეთ თორმეტი წელიწადი იქნება. შემოდგომა იყო. მე და ჩემი მეზობელი, მიხეილი ფოთოლაძე, ყანაში საერთოთ პურსა ვთესავდით. ჯერ კიდევ მუშაობით კარგათ გაჯერებულნი, არ ვიყავით, რომ მიხელას ცოლის კაპასი შემოგვესმა:

— არა, ამ ცხვირ მოუხოცელმა თოთამამ როგორ მიქნა ეს საქმე, როგორ [illegible], როგორ დამამხო! ღმერთო, შე უხეირპიროო, არ შეგარჩენ ამ სიბრიყვეს, მთელ ერთობას შევყრი, მთელ დუნიას შევატყობინებ, რა კაცი ხარ, შე პირ-დაუბანელო, შენა!

სწორეთ მოგახსენოთ, ამ ხმაურობამ, ცოტა არ იყოს, შეგვაფიქრიანა. არეული დრო იყო და ყოველ გვარი ხმაურობისათვის [illegible].

— ამხანაგ!—მიუბრუნდა მიხელამ. მომეცი ნება სახლში წავიდე და გავიგო, რა ამბავია. მიხელა წავიდა. მე მოთაისის [illegible] კვალის ხნა დავიწყე და ის იყო კიდევ შევედი მუშაობის ეშხში, რომ შეიარაღებული „რაზმელი'' დამადგა თავზე [illegible]: ,,მთელი ერთობა თოთამს ყანაში არის თავი მოყრილი და შენც უნდა გამოცხადდეო''.

ძალა აღმართს ხნავს და ამისათვის მეც [illegible] ხარები [illegible] და წავედი.

თოთამას პატარა ყანაში მოყრილიყო [illegible] ადგილობრივ მთავრობის [illegible] კრება. [illegible] აქ იყო თვით ასის-თავი, [illegible] ახალ-გაზრდა კაცი, რომელსაც [illegible] დინჯათ და შეურყევლათ ეჭირა, [illegible] (ჩვენ სოფელში 140 კომლია) და [illegible] შეიარაღებული ახალგაზრდა, რომელთაც

იმდროში „რაზმელებს" ეძახდნენ, და მთელი სოფელი.

— აბა, გამოდი, მიხელა, და განაცხადე, რაც გინდა უთხრა ასის-თავმა მიხელას.

— აფხანაკებო! მე არაფერი არ ვიცი, რა მოხდა ჩემ სახლში, მე გათენდა თუ არა, პურის თესვას შეუდექი ყანაში.

— დიაღ, დიაღ, მაგან არაფერიც არ იცის ეგ არ ყოფილა სახლში და არც მაგის საქმე წამოიძახა მიხელას ცოლმა გაიანემ — ჩემის შრომით, ჩემის ღვაწლით გაზრდილი ბატი მომიკლა თომიამ; მე ვსთხოვ ერთობის სამართალს, ნუ შეარჩენს მას ამ უსამართლობას, დასაჯოს იგი და მეც დანაკლისი ამინაზღაუროს.

— როგორა? ბატი მოგიკლა თომიამ? იკითხა ასისთავმა.

— დიაღ! ბატი მომიკლა! და მიაშვირა ხელი იქვე ნახნავში დაგდებულ კისერ წაწყვეტილ ბატს.

— ერთი ბატი და ამდენი ხალხის შეწუხება და გაცდენა შეიძლება?! — წამოიძახა მოხუცმა ოტიამ უკმაყოფილოთ.

— აფხანაკო, სცდები და ძლიერაც სცდები. შეედავა მას დიაკონი. ის დრო აღარ არის, როდესაც ყველაფერ შემთხვევას გულგრილათ ვეკიდებოდით და არარათ ვაგდებდით. ეხლა ერთობა და მისი სამართალია და ჩვენი ერთობაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ გვარათ უნდა დავიცვათ მუშა და მისი ინტერესები. ამ შემთხვევაში გაიანეც მუშაა, მას დიდი წვალებით და შრომით გაუზრდია ბატი — ხომ იცით რა ძნელი გასაზრდელია ბატის ჰუკი — და აბა რისთვის უნდა მოუკლან მას ეს ნაშრომი და ან რისთვის უნდა ჩავთვალოთ შეწუხებათ და გაცდენათ ამ საქმისათვის თავის მოყრა და მსჯელობა?!

— დალოცვილო, ადამიანებს ერთი თქვენი საწინაალმდეგო სიტყვისათვის წუთი-სოფელს ასალმებთ, აქაო და ეს ჩვენი მოღალატე და მტერი არისო და აქ კი ერთი ბატის ჰუკისათვის დიდ ამბავს ჩადიხართ — წაილაპარაკა ალმასხანა ცალხელაძემ. მაგრამ ისე კი, რომ ასის თავს, ათის თავებს და „რაზმელებს" არ გაუგონიათ. —

— აფხანაკებო, — მიმართა კრებას ისევ ასის თავმა — გაიანე უჩივა თომიას ბატის მოკვლას, ასე თუ ისე ჩვენი მოვალეობაა გავასამართლოთ ისინი, აირჩიეთ მოსამართლეები ამ საქმისათვის.

მცირე ჩოჩქოლის შემდეგ არჩეულ იქნა თერთმეტი მოსამართლე და მათ მიენდოთ თომიას გასამართლება. მოსამართლეები დაჯდენ იქვე თომიას ხნულზე და შეუდგენ საქმეს.

მე არა ვარ დამნაშავე, უთხრა არჩეულს მოსამართლეებს თომიამ — მეც თქვენი აფხანაკი და ერთობის კაცი ვარ. მართალია, მე მოვკალი გაიანეს ბატი, მაგრამ მიზეზიც უნდა გითხრათ. მე დილა ადრიან აი აქ პურის თესვა და ხვნა დავიწყე. გაიანესაც დილა ადრიან თავისი ბატები სამწყვდევიდან გამოედენა. მომესივნენ ბატები. მე ვთესავ კვალს და ბატები კი ანსლავენ ხორბალს. გადავდენე ერთხელ, გადავდენე მეორეთ, არაფერი მეშველა. გაიანესაც დაუძახე. ბატები მომაშორე, ნათესს მიფუჭვენ მეთქი, ხმა არ გამცა. ერთი სიტყვით, ჩემი შრომა უნაყოფოთ გამოვიდა და დათესილი ხორბალი კი გაიანეს ბატების სარჩო. მუშა კაცი ვარ, ველარ მოვითმინე, ავიღე წალდი და იმ ბატს მოუქნიე, მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, აკი თავი წავაგლიჯე. ეს არის ჩემი დანაშაული.

არ გასულა არც ათი წამი, რომ შემდეგი განჩინება გამოცხადდა: ა) „გარდახდეს თომია ოსიას ძე ფართლაძეს გაიანე ფოთოლაძის სასარგებლოთ ცხრა შაური მოკლული ბატის ფასად*) და ბ) დამნაშავე თომია ოსიას ძე ფართლაძემ აიღოს ხელში მის მიერ მოკლული გაიანეს ბატი, მივიდეს ჩვენი სოფლის თვითეულ მეკომურისას, აჩვენოს მოკლული ბატი და აღიაროს თავისი დანაშაული; ამასთანავე თვითეული მეკომურისას ბატის ფრთა და ბუმბლი დასტოვოს და როდესაც მთელს სოფელს მოიარს, გაფცქვნილი ბატი ასის თავისას მიიტანოს."

ეს განჩინება იმ დღესვე სისრულეშიდ იქნა მოყვანილი. თომიას ახლდა სამი შეიარაღებული „რაზმელი", მიდიოდა კარდაკარ და ყველას ეუბნებოდა თავის დანაშაულს და ყველგან ბატის ნაბდღვენს სტოვებდა და როდესაც სოფელი სულ ჩამოიარა, ბატი დანიშნულებისამებრ ასის თავისას მიიტანა, მაგრამ რა უქნეს ასის თავის ოჯახში ამ ბატს, ეს კი აღარ ვიცი.

თავ-თეთრი.

---

*) იმ დროს ბატი ეხლანდურათ არ ძვირობდა. ავტ.

ბოდბის მონასტრის გარშემო.

სიღნაღი წმინდა სავანე, სულიწმიდის ქნარი ნინა დღეს მოწმედ ხდება ამ უსაშინელესი და გულის შემზარავი სურათისა, რომელი სურათიც აღიმართა ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ. ბოდბის მონასტრის იგუმენია ანასტასია, როგორც თითონ გამოაცხადა, ფრიად ხელსაყრელ პირობებით აღჭურვეს პ. ბენეშევიჩმა, ნამყოფ ექსარხოსმა პლატონმა და კომისარიატმა ხარლამოვმა, და აი, მართლაც, დღეს მათი დაპირება სისრულეში მოყვანილია; მონასტერს სალდათები ჩაუყენეს და სდარაჯობენ იგუმენიას, რომელიც ფრიად შეწუხებული მოუწოდებს სალდათებს, **Братцы спасайте насъ!** ქართველები გვდევნიანო- სალდათებმა გამოიძიეს, და საბედნიეროდ იგუმენიას პროვოკატორობა, პროვოკატორობათვე დარჩა, რის გამო თითქმის გამომძიებელნი ამა საქმისა იგუმენიას გაუწყრენ. მკითხველნო, თქვენ გგონიათ ამით გათავდა საქმე? არა! იგუმენიის მოხალისე რაზმმა, რომელი რაზმიც დღე და დღე იზრდება, მოუწოდა სიღნაღის რუს ინტელლიგენციას, რომელთაც თავები მაღლა წამოყვეს და გულის ფანცქალით თითო ფეხის გადადგმას სდარაჯობენ, მხოლოდ რასა სდარაჯობენ, თითონაც არ იციან. მაგრამ, სამწუხაროა მით, რომ დღეს ამ მხარეს, მომეტებული თუ არა, მაინც ძველი რეჟიმის მომხრენი ისევ ყოფილან. სიღნაღის კომიტეტი აღჭურვილია თითქმის, თუ არა ვცდები, ოცდა-ათი ათასი ადამიანის ნდობით, ამ კომიტეტმა აშკარად დაინახა იგუმენია ანასტასიას მოღვაწეობა, რაიც საფრთხეს უქადის მთელ სიღნაღის მაზრას, რის გამო კომიტეტმა სთხოვა თბილისის კომისარს (კომ. ხარლამოვს), მოგვაშორეთ იგუმენია როგორც ძველი რეჟიმის ადამიანიო, მაგრამ კომიტეტმა პასუხად მიიღო „ეკლესიის საქმეში ნუ ერევითო" და თითქმის პასუხისგებაში მისცეს. კარგი ეკლესიის საქმეა პროვოკატორობა, რომელიც რევოლიუციის დამღუპავია!

სხვათა შორის მსურს მკითხველს გადავსცე პ. ბენეშევიჩის აზრი, წარმოთქმული ზემოხსენებულ საქმისა გამო, საიდაც გავიხედავ, სულ ის მესმის: ის რუსი პროვოკატორია, ის რუსი ძველი რეჟიმის მომხრეა და სხვ... და დავიჯეროთ ქართველებში არავინ არის პროვოკატორი თუ ძველი რეჟიმის მომხრე, რატომ იმათზედ არ ლაპარაკობთო!

და, ამ სიტყვების შემდეგ, განა ბენეშევიჩთან ღირს რამე საგანზე ლაპარაკი?

ბ. პ. ბენეშევიჩმა უნდა დაინახოს და გაიგოს, რომ ქართველი საზოგადოებაც გაფაციცებით ეძებს ოხრანკაში მყოფ ქართველებსაც და ატუსაღებს. უნდა გაიგოს, რომ აქ თუ სხვაგან, როგორც თითონ იჩენს შოვინისტობას, არავინ შოვინისტობს, პირიქით მონასტრელებს სურთ რუსივე მონაზონები დაკნინებულნი, შევიწროვებულნი და შერისხულ-შეგინებულნი გაანთავისუფლონ მტარვალი იგუმენია ანასტასიასაგან.

პ. ბენეშევიჩს ვთხოვ მხედველობაში მიიღოს თავის მევობრის იგუმენია ანასტასიას მოწოდება მონაზონებისადმი: ეტყობა, რუსეთი მალე დაღუპვის გზას დაადგება და დაიმსხვრევა, ამ შემთხვევით ისარგებლებს ნიკოლოზი და, ჩვენ შევიწროებულნი, თავისუფლად ამოვისუნთქავთო.

იცის ბენეშევიჩმი, რომ დღესაც ზოგ მონაზონთაგანს ნიკოლოზის და მისი დედოფლის სახელები ხელ შეუხებლივ უწერიათ თავიანთ სადღეგრძელო წიგნაკებში და ეკლესიაში მათ მოხსენებას განაგრძობენ.

იცის ბენეშევიჩმა, რომ ბნელმა ძალებმა იგუმენიის მარჯვენა ხელს დარიას და ვიღაც მონაზონის პენზას ხელმძღვანელობით ზოგიერთა მონაზონებს სენაკის სარკმელებზედ ფიცრები აუკრეს და გარეთ არ ახედებენ? ეს მონაზონი პენზა, რევოლვერით ხელში მონასტერს გარშემო უვლის და ვაი მისი ბრალი, ვინც იგუმენიის საწინააღმდეგოს მოიმოქმედებს. აღდგომის დღეს ამ პენზამ ადგილობრივ სამღვდელოებას წითელ კვერცხთან ერთად ორი პატრონა და რევოლვერი დაუწყო მაგიდაზედ. ისიც იცის ბ-ნმა ბენეშევიჩმა, რომ ძველი რეჟიმის ადამიანი, პროვოკატორობის გამამტკიცებელი, ყველასაგან განდევნილი იგუმენია ანასტასია თავის ვერაგობას აფართოვებს დაუსირცხვილოდ ტუჩებს იწმენდავს, ეწინააღმდეგება თავისუფლებას და ძალდატანებით მოითხოვს მონაზონებისგან განაჩენს — ავი ვარ თუ კარგი ვარ, თქვენი ბატონი ვარ და ნებას არ მოგცემთ მე აქედან დამითხოვოთ, თორემ სისხლს ამოგწოვთო?

თუ არ იცის, ვთხოვ გაჩუმდეს და თუ იცის ვთხოვ პასუხს. დღეს ქალაქ თბილისიდან მოვიდა კომისია ბოდბის მონასტერში საქმის გამოსაძიებლად, რომელიც მოწმედ გახდა დამონებულ მონოზნების ცრემლთა დენისა.

ვნახოთ რით გათავდება საქმე.

ვ. ქ.

(„საქ.")

„ტასტი გატყდა ხმა გავარდა"

ყოველ ღირებულებას თავისი ფასი აქვს. ძველი ქართული ანდაზები ჩვენთვის, ამ დროში, ფას-დაუდებელია. ჩვენ ძველებს, ანდაზების სახით, მთლიანი და სავსებით გამუქებული დებულების თქმა შეძლებიათ. სწორედ საკვირველია ჩვენი ხალხის სიბრძნე, თუ ჩაუკვირდებით ამ გარემოებას. სამწუხაროდ ეხლანდელი ქართველობა, ხშირად ძველებური, მამაპაპური გზით აღარ მიდის, ძველებურ ადათს ღალატობს. უწინ თუ რომელიმე ქართული ანდაზა ჭეშმარიტების აღსანიშნავათ იყო ხმარებული, დღეს მას ჭორების გასავრცელებლად ხმარობენ, ალაგ-ალაგ მაინც, მოგეხსენებათ, რომ წასული მაისის 23 რიცხვიდან ქ. ქუთაისში საქართველოს საკათალიკოზოს სასულიერო სასწავლებლების, სემინარიების და ქალთა ეპარქიალური სასწავლებლების მასწავლებლების თავყრილობა იყო რომელი თავყრილობაც 27 მაისამდე გაგრძელდა, ეს სიმპატიური და სასარგებლო საქმე ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის კორპორაციის ბიურომ მოაწყო. ამ აღნიშნულ თავყრილობაზე ბევრი საგულისხმიერო და მომენტის შესაფერი კითხვები იქმნა წამოყენებული და მიღებულ გადაწყვეტილი. ყველა კითხვების დასახელებას მე აქ არ შეუდგები, რადგანაც, მიუხედავად მათი საზოგადო მნიშვნელობისა, მათ ქართველ საზოგადოებაში ჯერჯერობით მაინც, არავითარი მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია. მხოლოდ ერთ კითხვას შევეხები, რომელიც საღმრთო სჯულის სწავლებას შეეხება განახლებულ ჩვენს სკოლებში, ნათქვამია, როგორც ამ წერილის სათაურში აღვნიშნე, რომ „ტასტი გატყდა და ხმა გავარდაო", მაგრამ ამ შემთხვევაში არავითარი ტასტი არ გამტყდარა და ხმა კი ისე გავარდა.

განსაკუთრებით ქართველ სამღვდელოებაში (მე ქუთაისის სამღვდელოება არა მყავს სახეში) დაჟინებით ლაპარაკობენ, არიქა დავიღუპეთ, საღმრთო სჯული გამოუდენიათ სასულიერო სასწავლებლებიდანაო. ასეთ შეშფოთებულ მღვდლებს და ქართველ მორწმუნე საზოგადოებას ვამშვიდებ, რომ არავითარი ამ გვარი დადგენილება აქ მოხსენებულ მასწავლებელთა თავყრილობას არ გამოუტანია. მხოლოდ საქმე შეეხებოდა საღმრთო სჯულის რიგიანად, საფუძვლიანად, ასე რომ იტყვიან, პედაგოგიურად და რაციონალურად დაყენებას, როგორც ვიცით, ის საღმრთო სჯული, რომელსაც დაბალსა და საშუალო სკოლებში (მაღალზე არას ვამბობ) გადიან, მეცნიერება არ არის. ეს არის მხოლოდ გულის გამაკეთილშობილებელი მორალური სწავლა გამჩენელ ღმერთზე და სულის დამატკბობელი თვისება. საღმრთო სჯული უფრო გულის საქმეა, ვიდრე ტვინის, საღმრთო წერილი ნათლად ამბობს რომ ღმერთი არავის არსად უხილავს და ტვინით, ათასიც რომ ვეძიოთ ღმერთი, მაინც ვერ ვიხილავთ, თუ გულით არ მივიღეთ და არ დავიჯერეთ მისი სუფევა და არსებობა, და საღმრთო სჯული რომ გულით ისწავლებოდეს ღირსეულად, მისი დარიჯაკში ჩამწყდევა, ფორმებითა და დროთა და ჟამით შეზღუდვა, ღვთაებრივი მასწავლებლის უსპეტაკეს მოძღრებას არ შეეფერება, საღმრთო სჯულის სწავლების ქვაკუთხედი, საძირკველი არის სიყვარული და სიყვარული კი ძალით არ იბადება და არ აღიძვრის კაცის არსებაში, სიყვარულს თავისუფლება უყვარს და თავისუფალ სკოლაში საღმრთო სჯულს თავისუფალი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩნეული და არა ძალდატანებით, როგორც აქნამდის იყო. ასე საღვთო სჯულის დაყენება განახლებულ მომავალ სკოლაში, თუ საღვთო სჯულის გაგდებას ნიშნავს ეს გონიერი მკითხველისათვის მიგვინდვია. მართალია ზოგიერთი პროვინციალური გიმნაზიების საღვთო სჯულის მასწავლებლები მოითხოვდნენ, რომ საღმრთო სჯულის სწავლება ძველებურად დარჩენილიყო განახლებულ მომავალ სკოლაში, მაგრამ ეს აზრი უარყოფილ იქმნა. სწორეთ ეს ვაჟბატონები ავრცელებენ იმ ხმას რომ არიქა გვიშველეთ საღმრთო სჯული გამოდენეს სკოლებიდანო. ასეთ და სხვა ამ გვარ პირებს მოვახსენებ, რომ „ტასტი" არ გამტყდარა და ხმას რატომ აგდებენ?!

მ. ქუთათელი.

მოწერილი ამბები.

ს. სეფიეთი. ამ რამოდენიმე თვის წინეთ, თქვენს გაზეთში, მოვათავსე ცნობა სოფ. სეფიეთის საზოგ. წისქვილის შესახებ, რომელიც იმ დროს ახალი დაწყებული იყო. ამ ჟამად ეს საზოგადო და კეთილი საქმე დასრულებულია; საკვირველია სეფიეთის საზოგადოების მუყაითობა საქმისადმი და ენერგია. წისქვილის გაკეთების საქმეს შეუდგენ რევოლუციის დაწყებამდე, ნახევრად დაუსრულებელი იყო საქმე, როდესაც რევოლუციამ იფეთქა, და საზოგადოებას მომენტის სიდიადემ თავისი გამოძახილი მოსთხოვა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოება ახალს მდგომარეობას ანგარიშს უწევდა და ამავე დროს, თავის მიზანში ამოღებულ საქმეს არ ივიწყებდა. ამ უკანასკნელ დროს კი ზემოხსენებულ მკვიდრი ნაბიჯების უტყუარი ნაყოფი ახარებს საზოგადოებას. ამ საქმის ბეჯითად შესრულება, საზოგადოებისგან მინდობილი ქონდა ცხრა კაცს, ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამ რიცხვში ერთი იყო წისქვილის ოსტატი ხოლო დანარჩენნი იყვნენ მახლობელი თანაშემწენი და აგრეთვე საქმის სისწორის მეთვალყურენიც. მთელი საზოგადოება კი ამათ ეხმარებოდა მუშაობით და სხვადასხვა მასალების მოტანით. 2000 მანეთი ნაღდი დახარჯულია წისქვილის ყოველგვარი მასალების შეძენაში, ხოლო საზოგადოების მუშაობა, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში განუწყვეტლივ სწარმოებდა, დაახლოვებითი ანგარიში აღემატება 2700 მანეთს.

თუმცა, როგორც საზოგადოებაში ხმა დადის, წისქვილი სავსებით ასეთი არ არის, როგორიც საზოგადოებას უნდოდა მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ამ საქმის მეთაურების მოღვაწეობა. საქმე გაკეთებული რა ხარისხისაც არ გინდა იყოს, მეთაურები მაინც დიდი მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც გამოცდილება და მეცადინეობა არ დაუკლიათ, საქმისათვის არ უღალატნიათ. მათდამი უმადურობის გამოცხადება, ბევრ სხვასაც დაუკარგავს მუშაობის ენერგიას.

აწი უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეებია ამ დაწესებულების ფარგალში გასაკეთებელი. წისქვილს შემოსავალი დიდი აქვს. საზოგადოების მოწინავე ელემენტების ზნეობრივი მოვალეობაა, ამ შემოსავალს საზოგადოებისთვის მიზან შეწონილი და კეთილ საიმედო გზები აღმოუჩინონ, და მით იხსნან საზოგადოება ბევრგვარ გაჭირვებისაგან. საჭიროა, საზოგადოებამაც სათანადო ყურადღება მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს მოწინავე პირების მოქმედებას; საჭიროა, საზოგადოებამ დაუჯეროს გამოცდილ პირებს იმის გამოკვლევაში, თუ რა მიმართულება მისცენ ამ წისქვილის შემოსავალს.

დარჯაკი.

ქ. ფოთი.

სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.

შაბათს, ივნისის 3 ქ. ფოთის სავაჟო გიმნაზიის დარბაზში ადგილობრივმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა გამართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. ხალხი ბევრი დაესწრო. პირველ განყოფილებაში ბ-მა ია ეკალაძემ წაიკითხა ფრიად შინაარსიანი ლექცია მომენტის შესახებ. ლექტორი ტაშისცემით დააჯილდოვეს. მოკლე და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა ილარიონ ჟღენტმა. მეორე განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობდენ. მომღერლები: სანდრო კავსაძე და როინიშვილი. მომღერლების მიერ მშვენივრად იქმნა შესრულებული სიმღერები. საზოგადოება დაუსრულებელი ტაშისცემით აჯილდოებდა მათ. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობდა [illegible] და [illegible] ფი ლოლოამ. დადგმულ იქნა ცოცხალი სურათი. დასასრულ გაიმართა ცეკვა. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

თეატრი და ხელოვნება.

ბალეტი.

კვირას, 4 ივნის, ქალაქის თეატრში ცნობილ ფეხშიშველა მოცეკვავე ქალმა არტემის კოლონამ დასდგა ერთი გასტროლი. მას თან ახლდა მისი სამი მოწაფე. თვით არტემის კოლონა უკვე ახალგაზდა არ არის, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად თამაშობდა. კარგი იყვნენ მისი მოწაფეები, რომელთაც ცალკე შეასრულეს რამოდენიმე ნომერი. ყურადღებას იქცევდა ახალგაზდა, თითქმის ბავში მოცეკვავე. თავის დროზე ეს პატარა მოცეკვავე მგონი თავის მასწავლებელსაც აჯობებს. კარგი იყო მოწაფეების მიერ შესრულებული ,,ტაძარში'' ლოცვა (მუზ. ჩაიკოვსკისა), რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კარგი იყო აგრეთვე შოპენის ვალსი, და სამგლოვიარო ჰიმნი მისივე, ,,საათის თამაში''. და ვენიავსკის მე-2 № საკონცერტო მაზურკა. საერთოდ ბალეტი კარგი იყო და არტემის კოლონას ვარდები მიართვეს. უკრავდა 110 პოლკის სიმებიანი ორკესტრი მაგაზინერის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: როდესაც სცენაზე სამგლოვიარო ჰიმნი მიდიოდა და სასოწარკვეთილების წუთი იყო (როდესაც მკვდარი ნახა დედამ), ქანდარაზე ვიღაც უწესოებას სჩადიოდა, რამაც დამსახურებული აღშფოთება გამოიწვია. მგონი დროა შეიგნონ რომ ასეთ საქციელს თეატრში ადგილი არ უნდა ქონდეს და წინააღმდეგ შემთხვევაში თვით გამგეობამ უნდა იკისროს ეს საქმე თავზე, ვინაიდგან თვით მოთამაშესაც აღელვებს ასეთი მოქცევა და საერთო შთაბეჭდილებასაც ახდენს.

შალვა ლ—შვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$ — 2 საათ. საღამოს 6 — 8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის კარებთან ჰეიშვილის სახლში
მ. კაშია
არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უაპერაციოთ)

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	8 ს.	წ.
"	— სალამ.	8 ს. 50	"
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 40	"
"	— ღამის —	1 ს.	"
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26	"
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. 50	"
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	"

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს, —	"
"	— ღამის —	11 ს. 34	"
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 5	"
"	— დილის —	7 ს.	"
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს.	"
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს. 40	"
ხაშურისაკენ	— დღით —	5 ს. 20	"

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გაიოლოევის სახლი, ქუთაისში